საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

ოქტომბერი, 2025

1

იტალიის კონკურენციის უწყება

ALD AUTOMOTIVE-ს არასამართლიანი კომერციული პრაქტიკისთვის დაეკისრა 5 მილიონი ევროს ჯარიმა



კომპანიამ მომხმარებლებს მიაწოდა არასრული და გაურკვეველი ინფორმაცია ფასიან დამატებით სერვისზე, რომელიც განკუთვნილი იყო გრძელვადიანი იჯარის ფარგლებში ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესაზღუდად.

იტალიის კონკურენციის უწყებამ გრძელვადიანი ავტომობილების იჯარის ბაზრის გლობალურ კომპანიას ALD Automotive-ს დააკისრა 5 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა არასამართლიანი კომერციული პრაქტიკის განხორციელებისათვის, რაც უკავშირდებოდა მომხმარებელთა მიმართ ავტომობილის დაზიანების შემთხვევებში გადახდილი თანხების არასწორად მართვას.

დადგინდა, რომ როგორც ხელშეკრულების გაფორმებამდე, ისე ხელშეკრულების დადებისას, კომპანიამ მომხმარებლებს მიაწოდა არასრული და გაურკვეველი ინფორმაცია ფასიან დამატებით სერვისზე, რომელიც მიზნად ისახავდა ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში მომხმარებლის პასუხისმგებლობის შემცირებას შეთანხმებული თვითდაზღვევის ოდენობამდე. აღნიშნული სერვისი, რომელსაც მომხმარებელთა უმრავლესობა იძენდა, უნდა უზრუნველეყო მათი ფინანსური დაცულობა დაზიანების შემთხვევისას. თუმცა, კომპანია არ განმარტავდა, რომ ყოველი შემთხვევა საჭირო იყო დროულად დაფიქსირებულიყო ALD-ის პორტალზე, რის გამოც მომხმარებლებს სრულად ვერ ესარგებლათ იმ სერვისით, რომლის საფასურიც უკვე ჰქონდათ გადახდილი.

გარდა ამისა, მოკვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებლები სათანადოდ არ იყვნენ ინფორმირებულნი იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლის საფუძველზეც კომპანია განსაზღვრავდა, მიეკუთვნებოდა თუ არა დაზიანება ჩვეულებრივ ცვეთას. შესაბამისად, დაზიანებები, რომლებიც ამ კატეგორიაში არ შედიოდა და დროულად არ იყო შეტყობინებული, მომხმარებლებს ეკისრებოდათ სრულად.

უწყებამ აგრესიულად მიიჩნია კომპანიის პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მომხმარებლებს უწესდებოდათ შეკეთების ხარჯები მხოლოდ ავტომობილის დაბრუნებისას ტექნიკური შემოწმების შედეგად აღმოჩენილი მცირე ან ძნელად შესამჩნევი დაზიანებების გამო.

წყარო:

2

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა PHILIP MORRIS ITALIA-ს შესაძლო არასამართლიანი კომერციული პრაქტიკის საქმეზე

იტალიის კონკურენციის უწყებამ შეფასებით, კომპანიამ თავისი ინოვაციური „უკვამლო“ პროდუქცია არამართლიანად დაარეკლამა. უწყებამ დაიწყო მოკვლევა Philip Morris Italia-ს საქმიანობის შესახებ, ეჭვის საფუძველზე, რომ კომპანიამ მომხმარებელთა მიმართ გამოიყენა არასამართლიანი კომერციული პრაქტიკა, მათ შორის ისეთი სარეკლამო გამონათქვამების გამოყენებით, როგორებიცაა *"smoke-free", "a smoke-free future" და "smoke-free products".*

აღნიშნული ფორმულირებები შესაძლოა მომხმარებლებისთვის იყოს შეცდომაში შემყვანი და არასრული, რადგან ისინი ეხება პროდუქტებს, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ არ

მიმდინარეობს წვის პროცესი მაინც შეიძლება მავნებელი იყოს ჯანმრთელობისთვის. გარდა ამისა, აღნიშნული პროდუქტები არ არის ნაკლებად საზიანო სხვა თამბაქოს ნაწარმთან შედარებით და ასევე იწვევს დამოკიდებულებას.

წყარო:

1

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

საფრთხის შემცველი კრუიზები: UOKIK-მა INCRUISES-ს ჯარიმა დააკისრა

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სააგენტოს (UOKiK) პრეზიდენტმა, InGroup International LLC-ს (ყოფილი InCruises International LLC) ჯარიმა შეუფარდა 5,280,388 პოლონური ზლოტის ოდენობით. მოკვლევის შედეგად დადგინდა, კომპანიის ბიზნეს-მოდელი გულისხმობდა, რომ კრუიზის შეძენა www.incruises.com პლატფორმის საშუალებით შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, თუ ის დაფინანსებული იქნებოდა პროგრამის სხვა წევრების მიერ განხორციელებული გადახდებით.

InCruises.com არის მოგზაურობის პროგრამა, რომელსაც მართავს InGroup International LLC. პროგრამა წევრებს სთავაზობდა კრუიზების შეძენას ლუქს კატეგორიის გემებზე შეღავათიან ფასებში. მონაწილეები ყოველთვიურად იხდიდნენ 100 აშშ დოლარს, რომელიც გარდაიქმნებოდა Cruise Dollars (CD) ქულებად კურსით 1 USD = 2 CD. ქულები გამოიყენებოდა პლატფორმაზე ხელმისაწვდომი მომსახურების შესაძენად, მათ შორის კრუიზებისთვის.

პროგრამას ჰქონდა მკაცრი შეზღუდვები: 2022 წლის 1 აპრილამდე დარეგისტრირებულ წევრებს ერთი წლის შემდეგ შეეძლოთ გამოეყენათ მხოლოდ დაგროვილი თანხის 60%, ორი წლის შემდეგ -70%, ხოლო 100% მხოლოდ 5 წლის და 4,900 USD-ის გადახდის შემდეგ. თუ წევრი წყვეტდა ყოველთვიურ

გადახდას, ანგარიში დეაქტიურდებოდა, ხოლო 12 თვის ინაქტივობის შემდეგ ანგარიშს უქმნდებოდა და ქულები იშლებოდა, თუ არ მოხდებოდა აქტივაცია თითოეული არააქტიური თვის 100 USD-ის გადახდით.

UOKiK-ის პრეზიდენტის განცხადებით, InCruises-ის შემთხვევაში ყველა პირობა შეესაბამება აკრძალული კონსორციუმური სქემის კრიტერიუმებს. კომპანიის ბიზნეს-მოდელის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ახალი „პარტნიორების“ მოზიდვა, თუ მონაწილე მოიზიდავდა ხუთ ახალ მომხმარებელს, რომლებიც რეგულარულად იხდიდნენ გამოწერას, იგი თავისუფლდებოდა ყოველთვიური გადასახადისგან. კომპანიის ბიზნეს-მოდელი დაფუძნებულია ქსელურ მარკეტინგზე.

InCruises.com-ის საქმიანობის მოკვლევა მიმდინარეობს 2022 წლის შუა პერიოდიდან. ამ პერიოდში კომპანიამ შეცვალა ოპერირების წესები. UOKiK-ის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

[წყარო:]

2

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

EMPIK-ის შეკვეთების გაუქმება და დაგვიანება კომპენსაცია მომხმარებლებს

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სააგენტოს (UOKiK) მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ Empik.com-ის ზოგიერთი მომხმარებელი აწყდებოდა შეკვეთების გაუქმებასა და დაგვიანებას. კომპანიამ შეცდომით ან არასრული ინფორმაციის გამო ვერ უზრუნველყო შეკვეთების დროული შესრულება, რაც არღვევდა მომხმარებელთა უფლებებს.

Empik.com არის ონლაინ პლატფორმა, რომელიც ყიდის ფართო სპექტრის პროდუქტებს (მათ შორის ციფრულს), სადაც სხვა მოვაჭრეებიც აკეთებენ შეთავაზებებს. მოკვლევამ აჩვენა, რომ პროდუქტები ჩანდა ხელმისაწვდომად, თუმცა შეკვეთები მაინც იგვიანებდა ან იკარგებოდა.

ონლაინ შოპინგის დროს მომხმარებლები დამოკიდებულნი არიან მოვაჭრის მიწოდებულ ინფორმაციაზე. თუ შეკვეთები ხშირად იგვიანებს ან უქმდება, ეს შეცდომაში შეყვანას იწვევს.

UOKiK-თან თანამშრომლობით, Empik-მა შეასრულა შემდეგი ღონისძიებები:

- პროდუქტის გვერდზე მიწოდების ვადებისა და შეკვეთის პროცესის შესახებ ინფორმაცია მკაფიო და დეტალურად არის წარმოდგენილი, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლის უსაფრთხო გადაწყვეტილებას შეკვეთის განსახორციელებლად;
- მნიშვნელოვნად შემცირდა შეკვეთების გაუქმებისა და დაგვიანების რისკი, რაც ზრდის მომსახურების სანდოობასა და მომხმარებლისთვის პროგნოზირებადობას.

[წყარო:]

1

ლუქსემბურგის კონკურენციის უწყება

TIKTOK, FACEBOOK და INSTAGRAM

ევრო კომისია მიიჩნევს, რომ TikTok, Facebook და Instagram არღვევენ გამჭვირვალობისა და მომხმარებელთა უფლებამოსილების ვალდებულებებს, რომლებიც განსაზღვრულია ციფრულ სერვისებზე შეთანხმებულ დებულებებში (Digital Services Act-DSA). მკვლევარებს უნდა ჰქონდეთ წვდომა აღნიშნული პლატფორმების საჯარო მონაცემებზე, რათა შეისწავლონ მათი შესაძლო გავლენა მომხმარებელთა ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე. თუმცა, Facebook-ის, Instagram-ისა და TikTok-ის მიერ დადგენილი წვდომის პროცედურები მკაცრად შეზღუდულია და არ აძლევს მათ სრულ შესაძლებლობას.

Facebook-ისა და Instagram-ის კონტენტის შეტყობინების პროცესი მოიცავს არასაჭირო ნაბიჯებს და იყენებს შეცდომაში შემყვან ინტერფეისს, რაც ზღუდავს მომხმარებლების შესაძლებლობას მარტივად შეიტყონ არალეგალური კონტენტის შესახებ, მაგალითად

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის, ტერორისტული აქტების ან ფინანსური თაღლითობების მასალა. მომხმარებლებს, რომელთა კონტენტი წაიშალა ან ანგარიშები შეაჩერეს, უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების განხორციელების უფლება.

[წყარო:]

1

ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყება

ლიეტუვის ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ DIENA MEDIA ავრცელებდა შეცდომაში შემყვან რეკლამას

ლიეტუვის ადმინისტრაციულმა სასამართლომ (LVAT) დაადასტურა, რომ UAB „Diena Media“ შეცდომაში შეჰყავდა მომხმარებლებს, სხვადასხვა პროდუქტის რეკლამირებით ყოველდღიურ გაზეთებში “Kauno diena” და “Klaipėdos diena”.

UAB „Diena Media News“ ავრცელებდა რეკლამებს პროდუქტებისთვის „Binocular Eye Assistant“ და ტკივილის შემამსუბუქებელი ბიომაგნიტური სამაჯური ტურმალინითა და გერმანიუმით, რომლებიც შეიცავდნენ შეცდომაში შემყვან განცხადებებს.

რეკლამაში აღნიშნული იყო, რომ პროდუქტები წამებში აღადგენდა მხედველობას, ხსნიდა სერიოზულ დეფექტებს და უზრუნველყოფდა თვალებისთვის სრულ დაცვას, რაც რეალობასა და სამეცნიერო მონაცემებს არ შეესაბამებოდა.

სასამართლომ დაადასტურა, რომ კომპანიამ, მიუხედავად გაფრთხილებისა მომხმარებლები შეცდომაში შეყავდა და არღვევდა მათი უფლებებს.

[წყარო:]

2

ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყება

VVTAT-მა დააჯარიმა კომპანიები, ბაზარზე პროდუქციის არასათანადოდ განთავსების გამო

ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო სამსახურმა (SCPS), ფაიბერ ჰემპის პროდუქტების ბაზრის მონიტორინგისას აღმოაჩინა მნიშვნელოვანი სამართლებრივი დარღვევები კომპანიების UAB „Sveika sėlės“ და ŽŪK „Panevėžio aruodas“ საქმიანობაში. მოკვლევის ფარგლებში შეგროვებული მასალის, დარღვევების ხასიათისა და სიხშირის შეფასების შემდეგ, კომპანიებს ჯარიმები დაეკისრათ.

მოკვლევის შედეგად VVTAT-მა დაადგინა, რომ CBD (კანაბიდიოლი) პროდუქტები გაყიდვაში იყო წარმოდგენილი UAB „Sveika sėlės“-ის ონლაინ მაღაზიაში და ŽŪK „Panevėžio aruodas“-ის მართვაში არსებულ ონლაინ მაღაზიაში, თუმცა პროდუქტების გამოყენების საბოლოო მეთოდი მომხმარებლისთვის არ იყო საკმარისად გასაგები (მაგალითად, სად და როგორ უნდა იქნას გამოყენებული, რა ეფექტი აქვს, საჭიროა თუ არა გამოყენების შემდეგ დაბანა ან სხვა პროცედურა). გარდა ამისა, ორივე კომპანიას არ ჰქონდა აკრედიტირებული ლაბორატორიის ტესტირების პროტოკოლები, რომელშიც მითითებული იქნებოდა ტესტირების შედეგების შეფასება.

კომპანიები დაჯარიმდნენ 500 ევროთი.

წყარო:

1

უნგრეთის კონკურენციის უწყება

უნგრეთის კონკურენციის უწყებამ კომპანია დააჯარიმა 500 მილიონი ფორინტით, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის

კომპანიამ მრავალი წლის განმავლობაში ბიზნესკლიენტებისთვის დანერგა აბონენტური პაკეტების სისტემა, რომელიც კრძალავდა რეკლამირებას კონკურენტ საიტებზე. შედეგად, Adevinta მიზანმიმართულად ზღუდავდა კონკურენციას ბაზარზე.

2021 წლის დეკემბერში GVH-მ დაიწყო კონკურენციის ზედამხედველობის პროცედურა Adevinta-ს წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა ეკონომიკური დომინანტობის ბოროტად გამოყენებას. აღმოჩნდა, რომ 2018 წლის 1 აპრილიდან მოქმედი „ექსკლუზიური პაკეტი“ ფაქტობრივად გამორიცხავდა კონკურენტებს ან აფერხებდა მათ ბაზარზე შესვლას. საქმის განხილვა დაფუძნებული იყო უნგრეთის და ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებზე.

მოკვლევის ფარგლებში GVH-მ შეაგროვა მონაცემები და განახორციელა კომპლექსური სამართლებრივი და ეკონომიკური ანალიზი. მხარემ რამდენჯერმე ითხოვა ვადის გახანგრძლივება, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა პროცედურის ხანგრძლივობას.

აღსანიშნავია, რომ Használtauto.hu პლატფორმა დიდი ხნის განმავლობაში იყო უნგრეთის ონლაინ-ავტომობილების სარეკლამო ბაზრის ყველაზე დიდი და დომინანტური მოთამაშე, რომელის ბაზრის წილი მიმოხილვის პერიოდში მინიმუმ 70%-ს შეადგენდა.

GVH-მ დაადგინა, რომ ექსკლუზიური პაკეტის შემოღებით, Adevinta კანონის შესაბამისად კრძალავდა მოვაჭრეების ერთდროულად კონკურენტულ პლატფორმებზე რეკლამირებას, ხოლო საკუთარ პოპულარულ პლატფორმაზე (Jófogás Autó) უზრუნველყოფდა ავტომატურ და უფასო გადატანის შესაძლებლობას, რითაც ზღუდავდა კონკურენტების ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობას.

GVH-მა Adevinta-ს სამართლებრივი მემკვიდრე, Használtauto.hu Kft.-ს, 550 მილიონი ფორინტით დააჯარიმა. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრა დარღვევის ხანგრძლივობით და კომპანიის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი შემოსავლის გათვალისწინებით. პროცედურის დაწყების შემდეგ, Adevinta შეწყვიტა ექსკლუზიური პაკეტების გავრცელება.

[წყარო:]

1

BUNDESKARTELLAMT

BUNDESKARTELLAMT-Ი TEMU-ს წინააღმდეგ

გერმანიის ფედერალურმა კარტელის ოფისმა (Federal Cartel Office – Bundeskartellamt) დაიწყო ოფიციალური პროცედურა Whaleco Technology Limited-ის (Temu) წინააღმდეგ. პროცედურის მიზანია შეფასდეს პირობები და წესები, რომლებსაც Temu იყენებს გერმანულ ონლაინ-მარკეტზე

მოვაჭრეებისთვის, ასევე სხვა ასპექტები, რომლებიც ეხება კომპანიის ქცევას მოვაჭრეების მიმართ.

თვეში 100 მილიონზე მეტი მომხმარებელი სტუმრობს Temu-ს ევროპულ ონლაინ-მარკეტებს. პლატფორმა გერმანელი მოვაჭრეებისთვის დაახლოებით ერთი წელია ფუნქციონირებს. Temu შესაძლოა ავალდებულებდეს მოვაჭრეებს უკანონო ფასების პოლიტიკის დაცვაზე. მსგავსი მოთხოვნები შესაძლოა წარმოადგენდეს მნიშვნელოვან შეზღუდვას კონკურენციაზე და საბოლოოდ გამოიწვიოს ფასების ზრდა სხვა სავაჭრო არხებზეც.

Temu მართავს მრავალ სავაჭრო პლატფორმას, მათ შორის გერმანიაშიც 2023 წლიდან, თუმცა თავად არ მონაწილეობს ამ პლატფორმებზე პროდუქციის პირდაპირ გაყიდვაში. გერმანულ ონლაინ-მარკეტზე წარმოდგენილია ფართო სპექტრის პროდუქცია. პლატფორმა ხელმისაწვდომია ვებგვერდის "www.temu.com"მეშვეობით და მობილური აპლიკაციით "Temu: Shop Like a Billionaire".

2024 წლის მაისიდან, Temu-ს მიენიჭა Very Large Online Platform (VLOP) სტატუსი Digital Services Act-ის (DSA) ფარგლებში, რაც გულისხმობს ევროკავშირის წინაშე გამჭვირვალობის შესახებ ანგარიშგების ვალდებულებებს. კომპანიის ინფორმაციით, 2025 წლის პირველ ნახევარში Temu-ს საშუალოდ თვეში 115,7 მილიონი აქტიური მომხმარებელი ჰყავდა ევროკავშირში, მათ შორის გერმანიაში - 19,3 მილიონი.

გერმანიის ფედერალური კარტელის ოფისი ამ ეტაპზე სწავლობს სავაჭრო პირობებს, კერძოდ, კომპანიას შესაძლოა განესაზღვროს საბოლოო საცალო ფასი. ამასთან, ფედერალურმა კარტელის ოფისმა ასევე მიიღო საჩივარი გერმანული საცალო მოვაჭრეების ფედერაციიდან (HDE) Temu-ს წინააღმდეგ აღნიშნულ საკითხზე.

წყარო:

1

COMPETITION POLICY INTERNATIONAL

PFIZER-Ი NOVO NORDISK-ის წინააღმდეგ

Pfizer-მა ოფიციალურად დაადანაშაულა დანიული ფარმაცევტული კომპანია Novo Nordisk კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებაში, მას შემდეგ, რაც კომპანიამ დაუგეგმავად გააკეთა $9 მილიარდიანი შეთავაზება აშშ-ში დაფუძნებული წონის შემცირების ბიოტექნოლოგიური ფირმის, Metsera-ს შეძენაზე.

ეს ნაბიჯი კიდევ უფრო აძლიერებს დაძაბულობას სწრაფად მზარდ სიმსუქნეზე ორიენტირებულ წამალთა ბაზარზე, სადაც ორივე კომპანია აქტიურად ცდილობს დომინანტური პოზიციის დამკვიდრებას. Pfizer-ის განცხადებით, გარიგება შესაძლოა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდეს კონკურენციაზე, რამაც შესაძლოა ბაზარზე სხვა მოთამაშეებისთვის შეზღუდვები შექმნას და ფასების პოლიტიკაზე გავლენა იქონიოს.

წყარო:

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა, იტალიის, უნგრეთის, გერმანიის, ლუქსემბურგის და ლიეტუვას კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები, ასევე გადამოწმდა Competition Policy International -ის ვებგვერდი.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"